

„ჯეპლაკის“ საქმიანობა

იურიდიულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება

დავით კერესელიძე*

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმებისა და განახლებული კანონმდებლობის შეფარდებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების ფონზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. კანონმდებლის გასაგებ და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით ზუსტ ენაზე „მეტყველება“ ქვეყანაში სამართლებრივი კულტურის დახვეწის წინაპირობაა.

არაერთი პროგრესული სამართლებრივი ინსტიტუტის დამკვიდრების მცდელობა, სწორედ საკანონმდებლო ტექნიკისა და არსებული ცნებათა სისტემის ხარვეზების გამო, მცდელობად რჩება. ხშირად საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული კანონები ვერ აღწევს სასურველ შედეგს და მხოლოდ ცალკეული სამართლის ინსტიტუტის დამკვიდრების სურვილის დეკლარირებას ახდენს. ეს თავისთავად მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ახლა აუცილებელია ტექნიკური უზუსტობების გამოსწორება.

სწორედ ამიტომ „ჯეპლაკის“ სამუშაო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იურიდიულ ცნებათა სისტემის ჩამოყალიბებისაკენ მიმართულმა საქმიანობამ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ ამიერიდან საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანს აღნიშნულ საკითხებს. ქვემოთ განხილულია კერძო სამართლის ერთ-ერთი საკვანძო ცნების – „ნების გამოვლენის“ – დამკვიდრებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა.

1. ცნება „ნების გამოვლენა“

ნების გამოვლენის (*declaratio voluntatis*) ინსტიტუტი 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) მიერ შემოტანილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლეა. სსკ-ის I წიგნის II კარი დასათაურებულია როგორც „გარიგებანი“, თუმცა მის ცალკეულ დებულებაში ხშირად იხმარება ასევე ცნება „ნების გამოვლენა“.

კითხვას – საჭიროა თუ არა გარიგების ცნების გვერდით ნების გამოვლენის ცნების არსებობა – განსხვავებულად გაეცა პასუხი გარიგებათა შესახებ გერმანული და, არსებითად მის საფუძველზე შემუშავებული, საბჭოური დოქტრინის მიერ. გერმანულ ლიტერატურაში ნების გამოვლენის ცნების მნიშვნელობას ხედავენ გარიგებებში ნების გამოვლენასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხის (პრობლემის) უკეთ გადაჭრის შესაძლებლობაში.¹ ამის საპირისპიროდ საბჭოურმა დოქტრინამ უარი თქვა ნების გამოვლენის ცნების გამოყენებაზე და სარგებლობდა ისეთი ფრაზებით, როგორცაა, მაგალითად, „ქმედება, რომელიც ავლენს ნებას“.²

სსკ-ის 50-ე მუხლში მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებებითაა გადმოტანილი საქართველოს სსრ-ის 1963 წლის კოდექსის 41-ე მუხლის დებულება. კერძოდ, გარიგების ცნების

* „ჯეპლაკის“ დირექტორის მოადგილე სამართლებრივ საკითხებში.

¹ იხ. მაგალითისათვის *Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, Bd. 2, Das Rechtsgeschäft, 1975, § 2 (3), 28.

² იხ. 1963 წლის საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 42-ე მუხლი.

განმარტებისას ცნებამ – „ნების გამოვლენა“ – შეცვალა ფრაზა – „მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მოქმედება“. შესაბამისად, სსკ-ის 50-ე მუხლი განმარტავს, რომ „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“. ნების გამოვლენა გარიგების აუცილებელი კომპონენტია.³

კანონმდებელი გარიგებისა და ნების გამოვლენის ცნებებს, როგორც წესი, ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარობს. კონკრეტული დებულების შემუშავებისას ნების გამოვლენის ცნების გამოყენებას უპირატესობა ენიჭება იმ შემთხვევებში, როდესაც მას ცალკეული ქმედებისა თუ ქცევის წესისათვის ცენტრალური დატვირთვა აქვს (მაგალითად სსკ-ის 51-ე და 52-ე მუხლები). გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი ანსრიგებს ორმხრივ ან მრავალმხრივ გარიგებას, რომელთა დადებისათვის ორი ან მეტი ნების გამოვლენა აუცილებელი და მხოლოდ ერთი ნების გამოვლენით ვერ დადგება სამართლებრივი შედეგი.⁴

თუმცა სსკ-ის 50-ე მუხლში მოცემული გარიგების ცნების განსაზღვრების მიხედვით, არ უნდა მოხდეს გარიგებისა და ნების გამოვლენის ცნებების ერთი მნიშვნელობით გამოყენება. გარიგებად განიხილება არა ყველა ნების გამოვლენა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. შესაბამისად, ლოგიკურად უნდა არსებობდეს ისეთი ნების გამოვლენაც, რომლის მიზანიც არ იქნება სამართლებრივი შედეგის დადგომა. ამით ნების გამოვლენის ცნებას კანონმდებელი ართმევს იურიდიულ-ტექნიკურ მნიშვნელობას. იგი სამართლებრივად მხოლოდ მაშინ გახდება არსებითი, თუ მიმართული იქნება სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ.⁵

შედარებისათვის: ნიდერლანდების ახალი სამოქალაქო კოდექსის 3:33-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ მიმართული ნება, რომელიც გამოიხატება გამოვლენის მეშვეობით.⁶ ქართული სამართლისათვის სამაგალითო გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (გსკ) არ შეიცავს გარიგების განმარტებას. ამიტომ ქვემოთ წარმოგიდგენთ გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას:

„გარიგება ნების გამოვლენაა. ნება ვლინდება, რათა დადგეს სამართლებრივი შედეგი, და სამართლებრივი სისტემა უშვებს აღნიშნული სამართლებრივი შედეგის დადგომას იმდენად, რამდენადაც იგი გარიგების ავტორისათვის არის სასურველი“;⁷

„გარიგების არსი გამოიხატება სამართლებრივი შედეგის გამონწვევისაკენ მიმართულ ნებაში“;⁸

³ იხ. *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 330. გერმანულ ლიტერატურაში შედარებისათვის იხ. *von Tuhr, Der Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts*, 2 (1), 1918, § 61 I, 399; *Coing, Europäisches Privatrecht*, Bd. 2, 19. Jahrhundert, 1985, § 44 II, 276; *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, 1997, § 22, RdNr. 5; *Medicus, Allgemeiner Teil des BGB*, 2002, § 21, RdNr. 244; *Palandt/Heinrichs, Bürgerliches Gesetzbuch*, 2003, Einführung vor § 116, RdNr. 1.

⁴ შეად. გერმანულ სამართალთან დაკავშირებით *Medicus, Allgemeiner Teil des BGB*, 2002, § 21, RdNr. 243.

⁵ იხ. *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 312; *ზოდე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 1999, 167.

⁶ „Een rechtshandeling vereist een op een rechtsgevolg gerichte wil die zich door een verklaring heeft geopenbaard“.

⁷ *Windscheid, Pandektenrecht* I, § 69, Ziff. 1, ციტირებულია *Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, Bd. 2, Das Rechtsgeschäft, 1975, §2 (5), 32-ის მიხედვით.

⁸ იხ. *Motive zu dem Entwurfe eines Bürgerlichen Gesetzbuches für das Deutsche Reich*, Bd. 1, 1888, 126; *Mugdan (Hrsg.), Die gesammten Materialien zum Bürgerlichen Gesetzbuch für das Deutsche Reich*, Bd. 1, 1899, 421.

„ნების გამოვლენა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებების თანახმად, არის გამოხატვა ნებისა, რომელიც უშუალოდ მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ; იგი ავლენს სამართლებრივი შედეგის დადგომის ნებას, ანუ ნებას, მიმართულს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების, შინაარსობრივი შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“.⁹

სსკ-ის 50-ე მუხლში თუ ცნება „ნების გამოვლენის“ ნაცვლად მის განმარტებას გამოვიყენებთ, მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება მოცემული გარიგების ცნების ხარვეზი. კერძოდ, კანონის ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი „ნების გამოვლენა“ ანუ „გამოხატვა ნებისა, რომელიც უშუალოდ მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ“, „რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“. ცხადია, როდესაც კანონმდებელმა გარიგების განმარტებისას იხმარა ცნება „ნების გამოვლენა“, მან თავისთავად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ნება (და არა ნების გამოვლენა) უნდა იყოს მიმართული იურიდიული შედეგის დადგომისაკენ. შესაბამისად, ამის დამატებით ხაზგასმა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ხარვეზი და, რაც მთავარია, არსობრივად „ნების გამოვლენის“ ინსტიტუტის მნიშვნელობის დაკნინებაა.

კანონმდებელმა გარიგების ცნების განმარტებისას მხედველობაში არ მიიღო ერთი არსებითი გარემოება: სსკ-ის 50-ე მუხლში იგი იყენებს ნების გამოვლენის ცნებას იქ, სადაც იგი რეალურად მხოლოდ ნებას გულისხმობს ან „ქმედებას, რომელიც ავლენს ნებას“. აუცილებელია, გარიგების ცნების განმარტებისას აღინიშნოს, რომ „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა“, ყოველგვარი დამატებითი დათქმის გარეშე. ცნება „ნების გამოვლენა“ თავის თავში უკვე აერთიანებს იურიდიული შედეგის გამოწვევის ნებას როგორც სუბიექტურ, ფსიქიკურ გარემოებას და ამ (იურიდიული შედეგის გამოწვევის) ნების ობიექტურ გაცხადებას.¹⁰ სწორედ ამ ორი აუცილებელი კომპონენტის არსებობისას შეიძლება ნების გამოვლენის შესახებ საუბარი.

ამასთან, სამართლებრივად ასევე მართებული იქნებოდა, აქცენტი გაკეთებულიყო ქმედებაზე, რომელიც ავლენს ნებას, მიმართულს იურიდიული შედეგის დადგომისაკენ (სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). ასეთი დებულება მოცემულია როგორც საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო კოდექსის 41-ე I მუხლში, ისე პოსტსაბჭოურ კოდექსებში.¹¹ ამ შემთხვევაშიც ცნება „ნების გამოვლენა“, რომელსაც გულისხმობს აღნიშნული ქმედება, როგორც წესი, შესაძლებელია გაგებულ იქნეს გარიგების ცნების იდენტურად.

შესაბამისად, ნების გამოვლენა არის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ მიმართული ნება, გაცხადებული ისე, რომ იგი (მიმღების ან მესამე პირთა მიერ) გაგებულ იქნეს როგორც სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება. ამასთან, ნების გამოვლენა (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა ნების გამოვლენასთან ან მასთან სამართლებრივად გათანაბრებულ სხვა ქმედებასთან ერთად) არის გარიგება. სწორედ ეს გარემოება არ იქნა სათანადოდ გათვალის-

⁹ იხ. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე (*Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Zivilsachen, BGHZ*), *Neue Juristische Wochenschrift (NJW)*, 2001, 289, 290.

¹⁰ იხ. *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 1999, 50-ე მუხლი, 166-167. შეად. გერმანულ ლიტერატურაში *Palandt/Heinrichs, Bürgerliches Gesetzbuch*, 2003, Einführung vor § 116, RdNr. 1 და შემდგომში.

¹¹ იხ. მაგალითისათვის რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 153-ე და სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლები. გამონაკლისია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 324.1-ე მუხლი, რომელიც საქართველოს კოდექსის შესაბამისად შემუშავდა.

წინებული სსკ-ის 50-ე მუხლის შემუშავებისას. შედეგად, კანონმდებლის მიერ შემოტანილი ნების გამოვლენის ცნებამ ვერ შეიძინა იურიდიულ-ტექნიკური ცნების დატვირთვა.

2. მიღებააუცილებელი ნების გამოვლენა და „მისვლის“ ინსტიტუტი

სსკ-ის 51-ე მუხლი დასათაურებულია როგორც „ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა“ და ამით არასწორად არის გადატანილი აქცენტი „ცალმხრივ“ ნების გამოვლენაზე.¹² ნების გამოვლენის „მისვლის“ ინსტიტუტი არანაკლებ მნიშვნელოვანია ორმხრივ ან მრავალმხრივ ნების გამოვლენასა თუ გარიგებებში. შესაბამისად, კანონმდებელი უნდა მიუთითებდეს სათაურში „მიღებააუცილებელი“ ნების გამოვლენის ნამდვილობაზე, ანუ სწორედ ამ მუხლით უშუალოდ მონესრიგებულ გარემოებაზე („ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას...“).

კანონმდებელმა სსკ-ის 51-ე მუხლი გსკ-ის 130-ე | 1 პარაგრაფზე დაყრდნობით შეიმუშავა და იმავდროულად მიზნად დაისახა მასში მოცემული ფორმულირების გამარტივება და დაზუსტება. კერძოდ, იგი შეეცადა, ის გარემოება, რომ მიღებააუცილებელი ნების გამოვლენა ნამდვილია მისი ადრესატთან (მიმღებთან) „მისვლის“ მომენტიდან, გადმოეცა ლაკონიური წინადადებით. მან სრულიად სამართლიანად თქვა უარი გსკ-ის 130-ე | 1 პარაგრაფში არათანმყოფ პირებზე გაკეთებულ აქცენტზე („როდესაც იგი მის არყოფნაში გამოითქმის“). თანმყოფი თუ არათანმყოფი პირების მიმართ გამოთქმული ნებისმიერი ნების გამოვლენა თანაბრად მოითხოვს მის მეორე მხარის მიერ მიღებას, თუ იგი მიღებააუცილებელი ნების გამოვლენაა.¹³ ასეთ შემთხვევებში ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ მისვლის სახე და, შესაბამისად, ის აუცილებელი პირობები, რომლებიც განპირობებულია ნების გამოთქმასა და მეორე მხარის მიერ მის მიღებას შორის არსებული დროის მონაკვეთით.¹⁴

თუმცა მუხლის ბუნდოვანი სათაური და სპეციალური ტერმინის არარსებობა „მისვლის“ ინსტიტუტის არსის გამოსახატავად ართულებს სსკ-ის 51-ე მუხლის შინაარსის სწორად გაგებას. უმჯობესი იქნებოდა, რომ კანონმდებელს „მისვლის“ ინსტიტუტის არსი გადმოეცა შემდეგი ფორმულირებით: მიღებააუცილებელი ნების გამოვლენა ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი იმგვარად მოხვდება მიმღების გავლენის სფეროში,¹⁵ რომ მას, ჩვეულებრივ, რეალური შესაძლებლობა ეძლევა, გაეცნოს მის შინაარსს.¹⁶

¹² საპირისპირო აზრთან დაკავშირებით იხ. *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 318, სადაც ავტორი ესეხება *ფლუმეს* იმ პასაჟს, რომელშიც ეს უკანასკნელი ბუნებრივად მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ნების გამოვლენა ვილაცის მიმართ უნდა იქნეს გამოთქმული და ასკვნის, რომ მიღებასავალდებულობის თვალსაზრისით განსხვავება მხოლოდ ცალმხრივ გარიგებებში იქნის მნიშვნელოვანს (*Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Bd. 2, Das Rechtsgeschäft, 1975, § 11 (4), 138 f.*). შეად. ასევე *von Tuhr, Der Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts, 2 (1), 1918, § 61 III, 427 ff.*, რომელიც ფორმულირება „მიმართულაუცილებელს“ (*richtungsbedürftig*) უფრო ზუსტად მიიჩნევს.

¹³ იხ. გერმანულ ლიტერატურაში *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 1997, § 26, RdNr. 8; Palandt/Heinrichs, Bürgerliches Gesetzbuch, 2003, § 130, RdNr. 13 f.*

¹⁴ იხ. გერმანულ ლიტერატურაში *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 1997, § 26, RdNr. 8.*
¹⁵ გერმანულ სამართალში იხმარება „ძალაუფლების სფერო“ (*machtbereich*) ან „განკარგვის ძალაუფლება“ (*Verfügungsgewalt*). შეად. *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 1999, 51-ე მუხლი, 171, რომელიც ასევე იყენებს სიტყვა „ძალაუფლებას“.

¹⁶ შეად. *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 1999, 51-ე მუხლი, 171. გერმანულ სამართალში შედარებისათვის იხ. BGHZ, NJW, 1965, 965, 966; 1979, 2032, 2033 და ფედერალური შრომის სასამართლოს გადაწყვეტილებანი (*Entscheidungen des Bundesarbeitsgerichts, BAG*), NJW, 1984, 1651. ასევე შეად. *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 1997, § 26, RdNr. 17.*

შესაბამისად, მიღებააუცილებელი ნების გამოვლენა ნამდვილად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდისადაც, სავარაუდოდ, მიმღები, ჩვეულებრივ არსებული გარემოებების (საფოსტო კავშირის ფუნქციონირების, სამუშაო საათებისა და ა.შ.) გათვალისწინებით, უნდა გასცნობოდა მის შინაარსს. მნიშვნელობა არა აქვს, გაეცნობა თუ არა იგი მას რეალურად.¹⁷

ამგვარი მოწესრიგებით ხდება ნების გამოვლენის გადაცემასთან დაკავშირებული რისკის თანაბრად განაწილება ნების გამოვლენსა და მის მიმღებს შორის: ნების გამოვლენი განსაზღვრავს გადაცემის სახესა და საშუალებას და მასვე აწევს რისკი, რომ მისი ნების გამოვლენა არ ან დაგვიანებით მიუვა ადრესატს; მიმღებს კი აწევს რისკი, რომ იგი მისი გავლენის სფეროში მოხვედრილი ნების გამოვლენის შინაარსს რეალურად არ ან დაგვიანებით გაეცნობა.¹⁸

შესაბამისად, ქართველი კანონმდებელი, გერმანელი კანონმდებლის მსგავსად, მიემხრო მიღების თეორიას.¹⁹ სხვა პოსტსაბჭოურმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ნების გამოვლენის ცნების დამკვიდრებაზე და, შესაბამისად, (მისი) ნამდვილობის პირობად მისი მიმღებთან მისვლა არ მოაწესრიგეს. გამონაკლისია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლი, რომელშიც სსკ-ის 51-ე მუხლი, მისი სათაურის ჩათვლით, ფაქტობრივად უცვლელად იქნა გადატანილი.

3. ნების გამოვლენის გამოთხოვა

გსკ-ის 130-ე I 2 პარაგრაფის მსგავსად, სსკ-ის 51-ე II მუხლი აწესრიგებს ნების გამოვლენის ადრესატთან მისვლით გამოწვეული სამართლებრივი შედეგის²⁰ დადგომის თავიდან აცილების შესაძლებლობას ნების გამოვლენის „გამოთხოვის“ საშუალებით. თუმცა სსკ-ის შესაბამისი ფორმულირება – „ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს“ – მოკლებულია დამაჯერებლობას.

ვინაიდან ქართულ სამართალში არ შემუშავებულა ნების გამოვლენის „გამოთხოვის“ გამომხატველი ადეკვატური ცნება, ბუნდოვანი დარჩა ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელი სსკ-ის 51-ე II მუხლის არსი. ისეთი სიტყვების გამოყენებამ, როგორცაა „უარის თქმა“ თუ „უარის განცხადება“, წარმოშვა გაურკვეველობა, რასაც ამ მუხლის კომენტარი ცხადყოფს: „მართალია, ნების გამოვლენის ადრესატამდე მისვლის ფაქტი მას ნამდვილობას ანიჭებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადრესატი ვალდებულია მიიღოს იგი. მეორე მხარეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეუძლია ნების გამოვლენა იურიდიული ძალის არმქონედ აქციოს, თუ იგი წინასწარ, ან მაშინვე განაცხადებს უარს. ანალოგიური უფლება უნდა ჰქონდეს წინადადების შემთავაზებელსაც“.²¹

სინამდვილეში, კანონმდებელს გამიზნული ჰქონდა სსკ-ის 51-ე II მუხლით მოწესრიგებინა სწორედ გსკ-ის 130-ე I 2 პარაგრაფით გათვალისწინებული ნების გამოვლენის გამოთხოვის

¹⁷ BAG, NJW, 1984, 1651.

¹⁸ იხ. *Zweigert/Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung*, 1996, § 26 IV, 356; *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, 1997, § 26, RdNr. 17.

¹⁹ გერმანელი კანონმდებლის წინაშე არსებული (მიღებასავალდებულო) ნების გამოვლენის ნამდვილობის განსხვავებულ თეორიებთან დაკავშირებით იხ. *Medicus, Allgemeiner Teil des BGB*, 2002, § 22, RdNr. 268 ff. შეად. *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 1999, 51-ე მუხლი, 170.

²⁰ მაგალითად, ცალმხრივ გარიგებაში ან ორმხრივ გარიგებაში აქცეპტის შემთხვევაში ეს იქნება ვალდებულების წარმოშობა, ხოლო ორმხრივ გარიგებაში ოფერტის შემთხვევაში – „ოფერტით ბოჭვა“.

²¹ *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 1999, 151-ე მუხლი, 172.

უფლება, რომლის მეშვეობითაც გამოთქმული, მაგრამ მიმღებამდე ჯერ არმისული და, შესაბამისად, ნამდვილად არგამხდარი ნების გამოვლენა მეორე, ცალმხრივი, მიღებააუცილებელი ნების გამოვლენით ძალადაკარგული გახადოს. აუცილებელია, რომ ნების გამოვლენის ადრესატს ნების გამოვლენის გამოთხოვა პირველი ნების გამოვლენის მისვლამდე ან მასთან ერთად მიუვიდეს. აღნიშნულ შემთხვევაში არ არსებობს ადრესატის დაცვის ღირსი ინტერესი, რომლის შესაბამისადაც მოხდებოდა ნების გამოვლენის შეზღუდვა მის მიერ გამოვლენილი ნებით.²²

ამასთან, გადამწყვეტია პირველი და მეორე (გამოთხოვის) ნების გამოვლენის მისვლის და არა რეალურად მათი შინაარსის გაცნობის მომენტი.²³ შესაბამისად, პირველი ნების გამოვლენასთან ერთად მისული გამოთხოვა მაშინაც ნამდვილია, თუ ნების გამოვლენის ადრესატი ჯერ პირველი ნების გამოვლენას გაეცნობა და, პირიქით, დაგვიანებით მისული გამოთხოვა მაშინაც არ არის გასათვალისწინებელი, როდესაც ნების გამოვლენის ადრესატი მას გაეცნობა თვით პირველი ნების გამოვლენის გაცნობამდე.²⁴

²² იხ. გერმანულ ლიტერატურაში *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 1997, § 26, RdNr. 44 f.; *Medicus*, Allgemeiner Teil des BGB, 2002, § 23, RdNr. 297 ff.; *Palandt/Heinrichs*, Bürgerliches Gesetzbuch, 2003, § 130, RdNr. 11.

²³ შეად. BGHZ, NJW, 1975, 382, 384.

²⁴ იხ. გერმანულ ლიტერატურაში *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 1997, § 26, RdNr. 45; *Medicus*, Allgemeiner Teil des BGB, 2002, § 23, RdNr. 300; *Palandt/Heinrichs*, Bürgerliches Gesetzbuch, 2003, § 130, RdNr. 11 შემდგომი მითითებებით. შეად. ასევე შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის (*Obligationenrecht*) მე-9 მუხლი.